# ცნობის ფურცელი

IV წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— შაბათი, 4 დეკემბერი 1899 წ. № 979.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი—პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი № 27 მარტიროზოვისა.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდ 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).
ტელეფონი № 372.—ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „Цнобисъ Пурцели“.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

გლეხი-კაცის ისტორია, ერკმან-შატრიანისა:

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ (III და IV) |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტე | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

ამ დღეებში დაურიგდება «ცნობის ფურცლის» ხელის მომწერთ

## შიო არაგვისპირელის ნაწერები

პირველი წიგნი. 2. 10—1

## ვალერიან გუნიას სტამბა

იღებს ყოველგვარს

**სასტამბო საქმეებს იაფად**

სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა (უ. 0—1)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, **საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია.** საქირურგიო და თვალის ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას:—მკურნალი ქალი **მ. თ კოგანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

**სამკურნალოს დირექტორი**

**ს. ვ. თოფურია**

Лѣчебница С. В. Топурія, въ Кутаисѣ.


## მთავრობის განკარგულებანი

სასჯულო-სამინისტროს ბრძანება

მიღებულ იქმნა სამსახურში ლომიძე—ტფილისის სასამართლო პალატის მიწისმზომელის თანაშემწედ

ბრძანება მთავარ-მართებლისკანცელარიას

შტატს გარეშე დარჩენილ იქმნენ: ტფილისის გუბერნიის სასოფლო-სადარაჯოს დისტანციების უფროსების თანაშემწენი—კონსტ. ცომაია, 6 ენკენისთვიდან, თავ. ქრისტ. ჯავახიშვილი, 9 ოქტომბრიდან და თავ. კონსტ. ჰაჭაბაძე, 16 ოქტომბრიდან; დისტანციის უფროსი ბორჩალოს მაზრაში როსტომ ავალიანი, 1 ნოემბრიდან.

## ახალი ამბავი

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ კომისიას, რომელიც შარშან ამოირჩია ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ ჩვენში ერობის შემოღების შუამდგომლობის აღძვრისთვის, უკვე დაუსრულებია თავისი შრომა და ჩაუბარებია მოხსენება და შუამდგომლობა ტფილისის გუბერნიის მარშლისათვის.

✦ ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ცნობილი ბერლინის ექიმი **ლე-მანი შესდგომია ქართული ენის საფუძვლიანად შესწავლას.** ამიტომ ბ-ნს ლემანს ტფილისიდან ამ დღეებში დაუბარებია რუსულ-ქართული ლექსიკონი, დედა-ენა, ბუნების კარი, ყიფიანის გრამატიკა და ბევრი კიდევ სხვა ქართული წიგნები.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ ამ დღეებში დაამტკიცა **კავკავის ქართულ სკოლის** სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ თავ. იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, ხაზინადრად კოსტანტინე სოლომონის ძე გვარამაძე და მდივნად დროებით პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა, ხოლო წევრებად როგორც ესენი, აგრეთვე თავ. ერეთელზ გიორგის ძე სიდამონოვ-ერისთავი, ნესტორ ივანეს ძე ფხაკაძე, ნიკოლოზ თედორეს ძე გუბნელოვი, მიხეილ ვასილის ძე ინასარიძე და იოსებ ვასილის ძე მოზდოკელოვი.

✦ დღეს, 4 დეკემბერს, **წმიდა ბარბარეს** დღეობის გამო ნათლულში, წმ. ბარბარეს ეკკლესიაში მწირველნი ბრძანდებიან ორნი: ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი გორისა და ყოვლად სამღვდელო კირიონი ალავერდისა მრავალ სამღვდელოების თანადასწრებით. წირვა დაიწყება 10 საათზე.

✦ სამშაბათს, 7 დეკემბერს, ტფილის **საბჭოს მორიგ კრებაზე,** სხვათა შორის განხილულ იქნება შემდეგი საგნები: ქალაქის ღამე-გასათევ თავშესაფართა მოწესრიგების პროექტი, სასკოლო კომისიის ინტრუქცია, ქ-ნ მარკოზოვისა და 10 სხვათა სახლის პატრონთა საჩივარი მათის მამულების დაფასებაზე, ქ. ტფილისის ხარჯთ-აღრიცხვა 1900 წლისა, გამგეობის ანგარიშები 1894 და 1895 წლებისა და სხვანი.

✦ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის ცხენის რკინის გზის გამგე ბ. რობი აპირებს ამ გზის გაგრძელებას მამადავითის მთაზე და მის შემდეგ ოქროყანამდე და კოჯორამდე. ახლა, როგორც შევიტყვეთ, ნახსენებ მთაზე და ოქროყანაში ადგილები ბ. რობის და მის ამხანაგს ბ. აივაზოვს (ბელგიის ვიცე-კონსულს) დაუყვიათ ნაწილ-ნაწილ და უკვე **ჰყიდიან საზაფხულოთ.** თითო ნაწილი არის არა ნაკლები 600 საჟენისა და თითო საჟენი ღირს 50 კაპიკიდამ დაწყებული $1^1/_2$ მანეთამდე. მიწების გაყიდვის საქმე აბარია რობის რწმუნებულს, ბ. პახომოვს.

✦ ჩვენი ახალგაზდა ბელეტრისტის ანდრო დეკანოზიშვილის პსიხოლოგიური ეტიუდი „პეპელა“ ბ-ნს არტურ-ლეისტს **გერმანულად გადაუთარგმნია** და კიდევაც დაუბეჭდინებია ერთ ფრიად გავრცელებულ გერმანულ გაზეთში.

✦ როგორც შევიტყვეთ, სიღნაღის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თ. სვიმონ თომას ძე **ანდრონიკაშვილი** სამსახურს თავს ანებებს თავისსავე თხოვნით. ამ თანამდებობაზე კანდიდატებად ასახელებენ თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწეს თ. ივ. ი. აფხაზს და თ. ივ. რ. ანდრონიკაშვილს, რომელიც ამ ჟამად ბორჩალოში მომრიგებელ-შუამავლად.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ რომ გორის მაზრის უფროსის თანაშემწე **აზარაპეტოვი** გადაჰყავთ თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ. აზარაპეტოვი წინად მსახურებდა ახალციხის მაზრაში.

✦ ტფილისის სავაჭრო ბაკის კურთხევაზე ნავთლუღში მიწვეულნი არიან ტფილისის გუბერნატორი, გუბერნიის ბეითალი, პოლიცმეისტერი და ხმოსნები.

✦ როგორც გვითხრეს, ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორის ბ-ნი **რუბის წინააღმდეგ საქმე** სწარმოებს სასამართლოში იმის შესახებ, რომ მან დაჰფარა ნამდვილი შემოსავალი საზოგადოებისა ცხენის რკინის გზისა, რათა ნაკლები სამრეწველო გარდასახადი ეხადა.

✦ გვთხოვენ გავასწოროთ ერთი **შეცდომა**, რომელიც მოგვსვლია გუშინდელ „ცნ. ფურცლის“ ნომერში; იქ იყო დაბეჭდილი ახალ ამბათ ცნობა, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაავალა კავკავის სკოლის ახლად დანიშნულს მასწავლებელს ბ. კუდღელაშვილს ხორის შედგენაო. ხორო კი კავკავის სკოლაში კარგა ხანია რაც შეადგინა პატივცემულმა ბ. ლ. ბოცვაძემ და კურდღელაშვილმა ეს ხორო უნდა ჩაიბაროს, რადგანაც ბ. ბოცვაძე ნამეტანის ჯაფით დაიღალა და ითხოვა, რომ ხოროს ლოტბარობიდან გაანთავისუფლონ.

✦ სატარიფო კომიტეტის აზრით, ამიერ კავკასიის რკინის გზის **ტარიფი გასატანი ნავთისა** ფუთზე 16 კაპიკი უნდა იქნეს (წინად 12 კაპ. იყო). აზრათ აქვთ გაადვირონ აგრეთვე საექსპორტო ნავთის ტარიფი ნოვოროსიისკამდეც.

✦ ამას წინად ტფილისში მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ბ-ნის მედვედიევის თავმჯდომარეობით დაარსდა საშინაო სამრეწველო კომიტეტი. გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, ამ კომიტეტის წევრებად კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მხრით არჩეულ იქმნენ ნ. ა. სულთან-ყირიმ-გირეი და იოსელიანი.

✦ როტერდამის ფირმის წარმომადგენელ ვან-დენ-ბერგს, რომელიც ვაჭრობს მარგარინით, სურვილი აქვს დაიბაროს ჩვენი ქვეყნიდან **მუხის ფიცრები** ბოჩკების გასაკეთებლად მარგარინისა, სელდებისა, ნავთისა და სხვა საქონლისათვის. ფიცრები შემდეგის ღირსებისა და ზომისა უნდა იყოს:

| | სანტ. | სანტ. | მილ. |
|---|---|---|---|
| გაურანდავი მუხის მოლუნული ფიცრები (заклейки) | | | |
| სელდის ბოჩკებისათვის . . . | $72^{1}/_{2}$ | 7—11 | 12 |
| ნივთის ბოჩკებისათვის . . . | 86 | 7—11 | 19 |
| ნავთის ბოჩკებისათვის გაურანდავი ხე ბოჩკის ძირებისათვის: | | | |
| სელდის ბოჩკებ. | 46 | 12—23 | 12 |
| ნავთის — | 54 | 12—23 | 19 |
| მუხის ფიცრები სხვა მშრალი საქონლისათვის უფრო ნაკლების ღირსებისა. . , . | 50 ე | 13—25 | 5—10 |

ყველა ეს მასალა ძალიან ხმელი უნდათ.

# თეატრი

## ქართული თეატრი

გუშინ წინ, 2 დეკემბერს, ქართულს სცენაზე მოსკოვის ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ გამართულმა წარმოდგენამ საკმაოდ კარგად ჩაიარა. წარმოდგენილი იყო ორი პიესა: „შეშლილია“, ორ მოქმედებიანი ნათარგმნი დრამა და „ძუნწი“ გ. ერისთავის კომედია. ორივე პიესა ჩვენმა არტისტებმა კარგის ანსამბლით ჩაატარეს. „შეშლილია“-ში კარგი იყო ბ-ნი კ. მესხი, ხოლო ქალბატონი ნებიერიძისა ჯერ ვერ შესჩვევია იმ აზრს, რომ როდესაც კულისებიდან სცენაზე შემოდის, სცენიდან გასვლამდე თავისს როლის ასრულებას უნდა ცდილობდეს, ის კი მხოლოდ მაშინ ასრულებდა თავის როლს, როდესაც ლაპარაკს იწყებდა, დანარჩენ დროს კი გარეშე მაყურებელსავით უყურებდა მოთამაშეთ. ბ-ნი გედევანოვი როლის უცოდინარობის გამო ხან-დახან სრულებით უაზრო წინადადებებს წამოისროდა. ერთი შენიშვნა კიდევ დრამის ასრულების შესახებ, რომელიც უფრო რეჟისორს შეეხება. ქ-ნს გარელს, როდესაც მოლბერტთან იდგა და ნეაპოლის მიდამოებს ხატავდა, პალიტრა მათლაფასავით ეჭირა ხელში. ქ-ნი გარელისა სრულებით უდანაშაულო იყო ამ შემთხვევაში, რადგან თვით პალიტრა უფრო მათლაფას ჰგავდა, ვიდრე იმ სამხატვრო იარაღს, რომლის დანიშნულებასაც ასრულებდა.

გ ერისთავის კომედია, როგორც საზოგადოდ ყველა ჩვენის ცხოვრებიდან დაწერილ პიესა, უფრო კარგად და ხელოვნურად იყო გათამაშებული. ბ-ნი ვ. აბაშიძე შეუდარებელი ძუნწია. ცოტა შარჟი ეტყობა მხოლოდ, პირველად ფულს რომ ამოიღებს ზანდუკიდან და აჩხრიალებს. ერთი პატარა შენიშვნა კომედიის შესახებაც. ბ-ნს ადამიძეს სცენის უკან რამე იმერული სიმღერა უნდა ეთქვა და სთქვა კიდეც, მაგრამ საუბედუროდ ის არა სცოდნია, რომ სიმღერა: „ალი-ფაშამ გვიღალატა“ ბევრად უფრო გვიან არის შეთხზული, ვიდრე გ. ერისთავის პიესები და მათ შორის „ძუნწი“. მაინცა-და-მაინც, ვიმეორებთ, წარმოდგენამ კარგად და კარგის ანსამბლით ჩაიარა, თამაშსა და როლების ცოდნას არ ეტყობოდა ის უსწორ-მასწორობა, რომელიც ისე ხშირი იყო ქართულს სცენაზე.

ზ.

# „ცნობის ფურცლის“ დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

### 2 დეკემბერი

**მოსკოვი.** ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობის დირექტორად არჩეულ იქმნა საკომერციო სასამართლოს წევრი ერმოლაევი.

**ლონდონი.** „რეიტ. სააგენტო“. ოფიციალური. მოდერის ბრძოლაში ინგლისელების მხრივ მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა რიცხვ 817-ია.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ მარტო გეიდლენდერებს ორშაბათის ბრძოლაში 650 ჯარის-კაცი მოუკლეს და დაუჭრეს 10 აფიცერი მოკლულია, 38 დაჭრილი, ოთხი კიდევ აღარსადა სჩანს.

„Daily Mail“-ის სამხედრო კორესპონდენტი მოდერ-რივერიდან შემდეგს იუწყება ორშაბათის ბრძოლის შესახებ: „ბრძოლა დაიწყო გათენებისას; გეიდლენდერნი ველზე მოდიოდნენ, უცბად მტერმა ტრანშეებიდან ტყვია დაუშინა. გეიდლენდერებმა ბევრი ჯარის-კაცი დაკარგეს. ბრიგადამ საჩქაროდ დაიწია უკან, მაგრამ მალე გასწორდა და პოზიცია არ დაანება მტერს. ეს მოხდა ჯარის მარცხენა მხარეს. მარჯვენა ჯარი, რომელიც გვარდიის ბრიგადისაგან შესდგებოდა, გაშლილ მინდორზე მიდიოდა სხვა ტრანშეების წინააღმდეგ ð 15 საათის განმავლობაში უჩინარს მოწინააღმდეგეს ებრძოდა. 11 საათზე გაგზავნილ იქმნა გორდონის რაზმი, რომელსაც ომის დაწყებისას მონაწილეობა არ მიუღია. ბურებმა პირველ თხრილებზე გაატარეს, შემდეგ კი ტყვიები დაუშინეს. ინგლისის არტილერია მოწინააღმდეგის შანცებს ესროდა ტყვიას. ბრძოლა დასრულდა საღამოთი. მოკლულთა, დაჭრილთა და უკვალოდ დაკარგულთა სიის ცნობაში მოყვანა არ შეიძლება“.

„Daily Telegraph“-ი იუწყება, რომ ლორდის მეტუენის ჯარმა მტრის მარცხენა ჯარის გარღვევა და გავლა მოინდომა, მაგრამ იგი მეტად ძლიერი გამოდგა. მოკლულ იქმნა გორდონის რაზმის უფროსი. მოჰკლეს აგრეთვე კოლდეგრიმის რაზმის მაიორი მარკიზი ვინჩესტერი. „Star.“ იუწყება, რომ გეიდლენდერთა ბრიგადის უკან დახევის შემდეგ, იმ რაზმში, რომელმაც „შავის დარაჯის“ სახელით თავი გაითქვა, 160 კაცი-ღა ითვლებოდა. დილით გაგზავნილ იქმნა წინ გორდონის რაზმი, რომელმაც მამაცად იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის საშუალო ჯარზე, სადაც რაზმის დაჭრილი და დახოცილი ამხანაგები ეყარნენ, მაგრამ მტრის თხრილების აღება შეუძლებლადა სცნო, რადგანაც თხრილებს ერთის მხრიდან ბორჯღლიანი მავთული ჰქონდა გავლებული.

**ვენა.** „კორრ. ბიურო“. დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე დღეს დილით ანიციდან დაბრუნდა, სადაც სანადიროდ იყო, და მაშინვე პარიზში წავიდა.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. სამხედრო სამინისტრომ შემდეგი დეპეშა გამოაქვეყნა მეტუენისა, მდ. მოდერიდან გამოგზავნილი 30 ნოემბერს $7^{1}/_{2}$ საათზე: „რადგანაც ბურების დიდძალმა ჯარმა დღეს ტრანშეები დაიჭირეს, მე ჩემის ჯარით მოდერ-რივერისაკენ დავიწიე. მე უშიშარ ადგილასა ვარ. გავიგე ტყვეებისაგან, რომ ბევრი ხალხია დაკარგული. ეტეკეს ჯარი სრულიად ამოწყვეტილია. ბურებმა ჩვენ ჯარის დაჭრილ კაცებს დიდი მზრუნველობა გაუწიეს.

**ლონდონი.** ლორდ კროსმა ლომფბორში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა ის აზრი, რომ, მიუხედავად უბედურ შემთხვევებისა და სამძიმო მსხვერპლისა, თავისუფლების საქმემ უნდა გაიმარჯვოს. ომის შემდეგ ტრანსვაალს არ უნდა მიეცეს ნება დაემუქროს ინგლისს, ისე, როგორც აქამდე შვრებოდა.

**ლონდონი.** „სტანდარტ“-ს გაუგია საიმედო წყაროდან, რომ მეტუენის დამარცხების გამო სამხედრო სამინისტროში გარდაწყვეტილია მეშვიდე დივიზიის მობილიზაცია რეზერვში დარჩება მერვე.

რედაქტორ-გამომცემელი
ვალერიან გუნია

# გამოსადეგი ცნობანი

## თეატრი და გასართობი

**4 დეკემბერი.**

**ტფილ. არტისტიული საზოგადოება.** მეოთხე საკვარტეტო კრება პიანისტის ლევინის მონაწილეობით.

## ნიხრი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | — $7^1/_2$ | კ. |
| სუკი | 1 „ | —12 | კ. |
| „ ცხვრისა | „ „ | — 8 | კ. |
| „ კამეჩისა | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორისა | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ | 1 „ | — 9 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 გ. | 5 | კ. |
| „ „ | II | „ „ | $3^1/_2$ | „ |
| „ „ | III | „ „ | 3 | „ |
| იგივე თორნისა | I | „ „ | 5 | „ |
| „ „ | II | „ „ | 4 | „ |
| „ „ | III | „ „ | $3^1/_2$ | „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ „ | 6 | „ |
| „ „ | II | „ „ | 4 | „ |

## ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 80 | — | 77 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უკრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 45 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . . | 1 | 30კ.-40კ. | | — | — |
| თივა . . . . . . . | 1 | — | 40 | — | — |
| ბზე . . . . . . . | „ | — | — | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 36 მ, შეშა ნარევი 28 მ.

ცხვარი თუშისა 4 მ.-დამ 4 მ. 60 კაპ.-მდე, ცხვარი თათრული 2 მ. 50 კ.-დამ 3 მ. 80 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 5 მ.-დამ 6 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 19 მ.-დამ 35 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 5 მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 18 მ.-დამ 32 მ.-მდე, კამეჩი შესაბმელი —

## რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხარისხი . . | № 0—9 | მ. | 50 | კ. |
| | № 1—8 | ,, | 75 | ,, |
| | № 2—8 | ,, | — | ,, |
| | № 3—7 | ,, | 50 | ,, |
| | № 4—7 | ,, | 25 | ,, |
| | № 5—7 | ,, | — | ,, |
| | № 6—6 | ,, | 75 | ,, |
| | № 7—6 | ,, | 50 | ,, |

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 80 კ.
,, ფშხვნილი ,, 4 ,, 90 ,,
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 25 კ—6 მ. 50 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ.

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სიერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში — 60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

—

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

—

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
   დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

სახალხო მატარებელი № 1 ბაქოდან თბილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ. თბილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ. თბილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 სალ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან თბილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. თბილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; თბილისიდან ბათუმში გადის სალამ. 7 ს. 32 წუთ. ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

სახალხო მატარებელი № 2 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., თბილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ., თბილისიდან ბაქოში გადის სალ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 სათ. 05 წ. სალ., თბილისში მოდის 9 ს. 45 წ. დილით., თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ. ბაქოში მიდის დილის 6 ს. 5 წ.

მატარებელი № 5 თბილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ. ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. სალ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან თბილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ. თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი ღამის 5 ს. 03 წ., მეორე—დღის 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ. ფოთში მიდის პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. სალ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—სალ. 9 ს. 48 წ. სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 9 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ.. საღამოს 6 30. დილის 8 ს. 45 და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ., დღისით 12 ს. 30 წ.. 3. 50 წ., და 5. 30 წ.

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ. მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 ს. 40 წ. დღისა, მეორე საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის პირველი დღის 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ. მეორე დილის 6 ს. 25 წ. მესამე, დღის 1. 05 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5. 08 წ. მეორე დილის 11. 48 წ. მესამე დღის 4. 40 წ. მეოთხე საღამოს 10. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულაში გადის ღამის 6 ს. 50 ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტყიბულიდგან ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ. ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისსა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთ საჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკაზში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., და ექვს საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 წ. ს. 30

—

# განცხადებანი


**ისტორიული ნარკვევი**

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე ჭყონიასაგან**

მოწონებულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

**წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში**

ახალი ქართული წიგნი

**სიტყვიერების თეორია**

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალექსანდრე ცისკაროვისა **კიტიონისა** და **გრ. ყიფშიძის-მიერ**

ფასი 1 მანეთი

ვინც ათ ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფოს-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: **Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.**

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... სობრანიეს გვერდზედ.

**ივემეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად** და **პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

საჩუქრებისა და ნიშნობისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში. ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—87)



ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ

# „უნივერსალნი მაღაზია“

**კ. გ. ყარიბოვისა** (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერეო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებული დიდძალი**

ქოლგები. თეთრეული. კორსეტები. წინდები. ჩულქები. ფუფაიკები. ჟერსე. პერჩატკები. კრუჟევა რუსული და გრან. შალები თბილი. შარფები. ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები. სარტყლები. მოსართავები. ლენტები ყოველნაირი. ბაღდადები. ხელსახოცები. ყელსახვევები. პირბადეები. აგრამანტები. გამაშები. რედიკულები. ალბომები.

სარკეები. ნესესრები. პორტმონეები. სანობათო ნივთები. საქორწილო სამკაულები. საბავშო ტანსაცმელები. ქალების კაბების საკაზმები. ფანჯრის ტულები. ქსოვილი სუფრები. საბნები ქსოვილები. ბალიშის პირები. ბამბები შალისა. ყოველგვარი ფერისა.

კალოშები. სამრეწველო საქონელი. **არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა. **„ალპაკას“ ნახელოვნები**, სქლად მოვერცხლებული. **სამზარეულო ჭურჭლები**, წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის. **ზუზები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი მაღაზიას ყოველ კვირა სულ ახალ-ახალი საქონელი მოსდის.

ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. (50—22)



**Открыта подписка на 1900 годъ, VII годъ изданія,**

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

# „КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“,

органъ Императорскаго Кавказскаго общества сельскаго хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, винограларству и виноделію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3 Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6 Сельско хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8 Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельскохозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

**ЗАДАЧА ГАЗЕТЫ** заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

**Подписная цѣна** съ доставкой и пересылкой: на годъ—*4* руб., полгода—*2* руб., ¼ года—*1* руб. и 1 мѣсяцъ—*40* к.

**Подписка принимается** въ Тифлисѣ, въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собственный домъ.

Отвѣтственный редакторъ **А. А. Калантаръ**.



# ОТКРЫТА ПОДПИСКА

***на издаваемый въ Баку съ ноября 1899 года***

иллюстрированный фототипіями ежемѣсячный журналъ

## „КАВКАЗЪ и СРЕДНЯЯ АЗІЯ“

въ фотографіяхъ и описаніяхъ.

ФОРМАТЪ in quarto.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою:

| | |
|---|---|
| На годъ | 12 руб. |
| „ ½ года | 7 „ |
| „ 3 мѣсяца | 4 „ |
| „ 1 „ | 2 „ |

Учебныя заведенія пользуются 25% скидкой.

Допускается разсроча платежа.

Плата за печатаніе объявленій въ отдѣлѣ публикацій.

| | Впереди текста | Пазади текста |
|---|---|---|
| За цѣлую страницу | 50 р. | 30 р. — к. |
| „ ½ страницы | 30 „ | 20 „ — „ |
| „ ¼ „ | 15 „ | 10 „ — „ |
| „ ⅛ „ | 8 „ | 5 „ — „ |
| „ 1/16 „ | 5 „ | 2 „ — „ |
| „ 1/32 „ | 3 „ | 1 „ — „ |

При многократныхъ публикаціяхъ дѣлается скидка.

Адресъ: Баку, въ контору редакціи „Кавказъ и Средняя Азія“.

Редакторъ-Издатель **А. М. Мишонъ**

3 (3—1)




სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ობს. ვანქის დიდ ქუჩა, № 27